



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'N. Kambadze', is written over a dashed horizontal line.

ნოე ქაშიბაძე

18 ივნისი 2014 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N7/129

2013 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	4
ფორმა N1 - ბალანსი	7
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	8
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	9
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	10
ფორმა N6- ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	11
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები.....	13

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველოს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველოს (შემდგომში „სამმართველო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამმართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც

მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამმართველოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

ვალდებულებები

წლის ბოლოს არ იყო აღრიცხული შპს „ლუკოილ ჯორჯიასია“-ს მიერ დეკემბრის თვეში 7,309.80 ლარის ღირებულების საწვავის მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულება¹.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2013 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველოს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველოს ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის 29-ე მუხლის მე-2; მე-11 და მე-13 პუნქტების მოთხოვნები.

არაფინანსური აქტივები

გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის ორგანიზებისა და მოვლა-შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი; კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვით 142 დასახელების (მათ შორის ყველა მცირეფასიან ინვენტარს) არაფინანსურ აქტივს საერთოდ არ ჰქონდა მინიჭებული საინვენტარო ნომერი².

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს არ არის სრულად გათვალისწინებული ყველა შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა; აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოება, რომ 2013 წლის განმავლობაში კორექტირებული გეგმები 26 შემთხვევაშია წარდგენილი (გეგმის პარამეტრების ცვლილებებთან დაკავშირებით 136 დანაყოფში 56,230.0 ლარზე) სააგენტოში.

სამმართველოს მიერ ჩატარებული 20 გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან 4 შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულ პრედენტთა მიერ დაფიქსირებულია საბოლოო ფასები, რომლებიც მნიშვნელოვნად (20%-ი და მეტი) დაბალია სამმართველოს მიერ განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე.

მნიშვნელოვნად დაბალი ფასები წარმოდგენილია შემდეგ შესყიდვებში:

(ლარი)

სატენდერო განცხ. N	მომწოდებელი	სამუშაოს ტიპი	სავარაუდო ღირებულება	საბოლოო შეთავაზებული თანხა	სხვაობა (5-4)	% (5/4)
1	2	3	4	5	6	7
SPA130004261	შპს „E2E4+“	ბეჭდვითი მომსახურებები	3000	2410	590.00	20%
SPA130006332	შპს „Geosm“	საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	1500	818	682.00	45%
SPA130015494	შპს „არადანი ინფო“	ბეჭდვითი მომსახურებები	5580	3995	1585.00	28%
SPA130026630	შპს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	ავტოტრანსპორტის დაზღვევა	4300	3384	916.00	21%
ჯამი	X	X	14380	10607	3773.00	26%

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების არაშესაბამის დაგეგმვაზე, კერძოდ ტენდერის გამოცხადებამდე სამმართველოს არა აქვს მეტი ყურადღება

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები;

დათმობილი ზაზრის კვლევისა და ანალიზისათვის, მისთვის საჭირო ხარისხის შესყიდვის ობიექტების საბაზრო ღირებულების დადგენისა და სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით³.

³ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ფორმა N1 - ბალანსი 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	ნაშთი წ/დ	ნაშთი წ/ზ
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა მოთხოვნები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში			
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3		
მოთხოვნები მივლინებით			
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით			
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით			11,290.89
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები			
არაფინანსური აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები		15,145.17	8832.67
შენობა-ნაგებობები		190,631.6	188,664.65
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		192,638.63	191,857.91
სხვა ძირითადი აქტივები		7420.00	8160.00
არაწარმოებული აქტივები			
ბალანსი		405,835.4	408,806.12
ვალდებულებები	4		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან			
გადასახდელი დღგ			
ვალდებულებები მივლინებით			
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით			
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ			
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		405,835.4	408,806.12
გაუნაწილებელი მოგება			
სულ კაპიტალი			
ბალანსი		405,835.4	408,806.12
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები		1879.25	
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში		4043.00	1387.19
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		96,170.27	105,411.63
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		67,885.60	62,366.62

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივი ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	666,660.00	605,710.00	576,939.25	576,939.25	576,939.25	631,324.36	54,385.11
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	333,460.00	338,174.00	334,723.07	334,723.07	334,723.07	334,723.07	
030	1.1.1 ხელფასები	211	333,460.00	338,174.00	334,723.07	334,723.07	334,723.07	334,723.07	
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	333,460.00	338,174.00	334,723.07	334,723.07	334,723.07	334,723.07	
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	305,040.00	296,394.00	293,463.07	293,463.07	293,463.10	293,463.07	
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	28,420.00	41,780.00	41,260.00	41,260.00	41,260.00	41,260.00	
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	326,200.00	257,990.00	233,636.18	233,636.18	233,636.18	239,948.68	6312.50
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	19,800.00	19,800.00	19,800.00	19,800.00	19,800.00	19,800.00	
170	1.2.2 მივლინებები	222	1000.00	600.00	475.00	475.00	475.00	475.00	
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	146,000.00	121,390.00	108,337.70	108,337.70	108,337.70	114,650.20	6312.50
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	14,000.00	14,180.00	14,146.54	14,146.54	14,146.54	14,146.54	
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	1200.00	1200.00	1118.28	1118.28	1118.28	1118.28	
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	142,200.00	99,000.00	88,279.41	88,279.41	88,279.41	88,279.41	
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	2000.00	1820.00	1479.25	1479.25	1479.25	1479.25	
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						48,072.61	48,072.61
270	1.4 პროცენტი	24							

350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		2546.00	2546.00	2546.00	2546.00	2546.00	
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273		2546.00	2546.00	2546.00	2546.00	2546.00	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731		2546.00	2546.00	2546.00	2546.00	2546.00	
560	1.8 სხვა ხარჯები	28	7000.00	7000.00	6034.00	6034	6034	6034	
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	7000.00	7000.00	6034	6034	6034	6034	
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	7000.00	7000.00	6034	6034	6034	6034	
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მაჩვენებელთა დასახელება			ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე				
			გეგმით	ფაქტიურად*	გეგმით			ფაქტიურად*	
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა			30	29					
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა			5	5					

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(334,723.07)
საქონელი და მომსახურება	(239,948.68)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(48,072.61)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	<i>48,072.61</i>
სოციალური უზრუნველყოფა	(2546.00)
სხვა ხარჯები	(6034.00)
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(22,598.06)
<i>მ.შ. არაფინანსური აქტივები</i>	
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	(653,922.42)
სულ ჯამი	653,922.42
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	405,835.4
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტი და მიღებული დაფინანსება	643982.25
შემოსავლები	
<i>მ.შ. გრანტები</i>	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	12,910.89
<i>მ. შ. არაფინანსური აქტივები</i>	
<i>არაწარმოებული აქტივები</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>მ.შ. მოგება ფლობიდან</i>	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	656,893.14
სულ ჯამი	106,2728.54
ნაშთი პერიოდის ბოლოს	408,806.12

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება							გასვლა						
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულიდან შესყიდვით	ნებაყოფლობითი ტრანზაქციებით გარდა გრანტებისა	სხვა შემოსავლებით	საკუთარი სახსრებით	გაყიდვით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსაყიდვლოდ	გრანტები	სხვა ხარჯები	საქონელი და მომსახურება	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	15,145.17	111,387.95										117,700.45		8832.67
სტრატეგიული მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სათადარიგო ნაწილები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები														
2. ძირითადი აქტივები	390,690.23	67,043.00		1620.00					22,598.06				48,072.61	388,682.56
შენობა-ნაგებობები	190,631.60												1966.95	188,664.65
არასაცხოვრებელი შენობები	190,631.60												1966.95	188,664.65
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	192,638.63	67,043.00							22,598.06				45,225.66	191,857.91
სატრანსპორტო საშუალებები	101,698.63	28,800.00											23,309.38	107,189.25
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	90,940.00	38,243.00							22,598.06				21,916.28	84,668.66
სხვა ძირითადი აქტივები	7420.00													
არამატერიალური ძირითადი აქტივები	7420.00			1620.00									880.00	8160.00
3. არაწარმოებული აქტივები														
მიწა														
ხელოვნების ნიმუშები														
არაწარმოებული არამატერიალური														

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	ანალიზური აღრიცხვის მონაცემები													
მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შეძენა	სხვა სახით	ექსპლუატა	სხვა სახით								
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რ-ბა	რ-ბა	რ-ბა	რ-ბა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1 სატრანსპორტო საშუალებები სულ:	9		1				88,279.41	3547.91	64,166.39	20,565.11	87,523.41	3547.91	64,166.39	19,809.11
მ.შ. მსუბუქი მანქანები	6		1								59,555.14	2799.32	43,287.65	14,347.56
ჯიპები და პიკაპები	2										23,178.44	640.63	16,847.75	5374.63
სატვირთო	1										5545.83	107.96	4030.99	842.92
2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	338	2	19			18								
მობილური ტელეფონები	11	2				6								
ტელევიზორები	16		1			3								
კომპიუტერები	58		18			9								

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სამმართველოს დაფინანსების წყარო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას (სამმართველოს აპარატს), ბიუჯეტის კანონით მინიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი: 02 02.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველო საქმიანობას წარმოთავდა აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 15 თებერვლის N10 დადგენილებით დამტკიცებული დებულებებით; სამმართველო არის აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მთავრობის წინაშე.

სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა და ანგარიშსწორების ანგარიში აფხაზეთის ხაზინაში.

სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

1. საფინანსო სამსახური: სამმართველოს აღრიცხვა-ანგარიშებისა და საბანკო ოპერაციების წარმართვა.
2. მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება: სამმართველოს საქმიანობის მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფა, საოფისე მომსახურეობის უზრუნველყოფა, ინვენტარიზაციის ჩატარება.
3. ტრანსპორტისა და ტექნიკის განყოფილება: ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა შენახვის უზრუნველყოფა.
4. კომუნალური მომსახურების განყოფილება: კომუნალური მომსახურების გაწევა.
5. კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილება: სამმართველოს კადრების აღრიცხვა და კონტროლი. სამმართველოს დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა. დოკუმენტაციის მიღება, გაცემა, შენახვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამმართველოსათვის განსაზღვრული იყო მომუშავეთა 30 შტატი.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

გ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვამარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

სამმართველოში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოთხოვნები არ ირიცხებოდა.

4. ვალდებულებები

სამმართველოში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო მონაცემებით ვალდებულებები არ ირიცხებოდა, თუმცა შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს მიერ 2013 წლის დეკემბრის თვეში მოწოდებული საწვავი 7,309.80 ლარის ღირებულებით, რაც გადახდილ იქნა 2014 წლის 8 იანვარს, კრედიტორულ დავალიანებად არ იყო აღრიცხული.

6. სახელმწიფო შესყიდვები

სამმართველოს მიერ 2013 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 177 ხელშეკრულება, საიდანაც 156 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა და 19 შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ავტომატური საწვავის და ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვები განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2013 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები (ლარი)

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	156	54968.38
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	19	117097.59
ელექტრონული ტენდერი		
კონსოლიდირებული ტენდერი	2	73287.76
ჯამი	177	245353.73

6. სხვა განმარტებები

პრემიები

სამმართველოს მუშაკებზე სამმართველოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე გაცემულია პრემიები მთელი წლის განმავლობაში 41,260.00 ლარის ოდენობით. ერთ მუშაკზე გაცემული პრემიის მოცულობა რიგ შემთხვევებში შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 0.5-1.5-ის და ძირითადად 1.7-2.0 მოცულობებს:

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	სარგო	სულ გაცემულია	მოცულობა სარგოსთან მიმართებაში (6/4)
1	2	3	4	5	6
1	გოგი მანია	უფროსი	1650	3000	1.8
2	მერაბ ვაშაყმაძე	უფროსის I მოადგილე	1500	2250	1.5
3	მერაბ ჭანტურია	უფროსის მოადგილე	1420	2635	1.9
4	ემზარ კახიანი	უფროსის მოადგილე	1420	2635	1.9
5	რენალდ დგებუაძე	საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს უფროსი	1100	2145	2.0
6	ლევარსა მიქაეა	მთ. ბუღალტერი	1070	2100	2.0
7	ხათუნა აღანია	საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს მთ. სპეციალისტი	590	1130	1.9
8	თამარ ვეკუა	მატერიალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი	800	1505	1.9
9	დარიკო ქარდავა	მატერიალური აღრიცხვის განყოფილების უფროსის მოადგილე	750	1430	1.9
10	მანანა ბუღისკერია	მატერიალური აღრიცხვის განყოფილების მთ. სპეციალისტი	590	1130	1.9
11	ირმა ხუფენია	საქმის წარმოების და კადრების განყოფილების უფროსი	800	1445	1.8
12	ნანა კვირკველია	საქმის წარმოების და კადრების განყოფილების მთ. სპეციალისტი	590	1130	1.9
13	ლევან ჯანჯუღია	სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი	800	800	1.0
14	მალხაზ დარჯანია	სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი	750	1454	1.9
15	ვლადიმერ გოგია	ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი	1070	2099	2.0
16	სოსლან დანელია	ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი	1070	2099	2.0
17	შოთა ტაბიძე	ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფ. სპეციალისტი	580	870	1.5
18	გია ტაბატაძე	ტრანსპორტის განყოფილების უფროსის მოადგილე	850	1679	2.0
19	ბესიკ ნატყეა	მძღოლი	590	885	1.5
20	თეიმურაზ ძნელაძე	მძღოლი	590	885	1.5
21	ლერი არდაშელია	მძღოლი	590	885	1.5
22	გიორგი ზიბზიბაძე	მძღოლი	590	885	1.5
23	მარინა აქუბარდია	მთ. ბუღალტრის მოადგილე	800	1505	1.9
24	ლევან ფარულავა	ტრანსპორტის განყოფილების უფროსი	900	1844	2.0
25	ხეიჩა ჩიქოვანი	ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე	850	1570	1.8
26	ხეიჩა ფაჩულია	ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთ. სპეციალისტი	590	540	0.9

27	ნინო ყაზახიშვილი	საქმის წარმოების და კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე	750	430	0.6
28	რეზო ესეგუა	მძღოლი	590	295	0.5
ჯამი	X	X	24240	41260	1.7

აუდიტის ჯგუფი:

გიორგი ფრუიძე

ბონდო გასვიანი

18 ივნისი 2014 წელი